პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 27 იანვარი, 1946 წ. № 20 (7493). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ბოლშევიკური მზადყოფნით შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო კრება (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის სანიმუშო საარჩევნო უბანი (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-3 გვერდი).

ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან (მე-3 გვერდი).

ლ. დონაძე — ჯუჯაჲა ვერდი (მე-4 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

# ბოლშევიკური მზადყოფნით შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავენ დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით.

საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ გაჩაღდა არჩევნებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სახელოვანი XXV წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრების ინიციატორებმა—წითელწყაროს რაიონის სოფელ უზუნდარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ბევრი რამ გააკეთეს ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. მათ უკვე დაამთავრეს იარაღ-მანქანების შეკეთება, მუშა საქონელი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, სათესლე მასალა მთლიანად გამოყოფილი, გაწმენდილი და აყვანილია სათეს კონდიციამდე.

წითელწყაროელთა ინიციატივამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. გაჩაღდა თესვისათვის მზადება. თესვისათვის საუკეთესოდ ემზადებიან ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის და ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა წევრები. საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მისაბაძ მაგალითებს იძლევიან ასპინძის, ლენინგორის, წითელწყაროს და გურჯაანის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები.

მაგრამ მზადების ტემპი ბევრგან ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ტრაქტორების რემონტი, რაც თესვის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, ზოგიერთ მტს-ში კვლავ ჩამორჩენილია. ასე, მაგალითად, ბაშკიჩეთის მტს-ს 20 იანვრისათვის ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებული ჰქონდა 34,5 პროცენტით. რუისის მტს-ში მთელი ძალები არ არის დარაზმული რემონტის დასაჩქარებლად. ამიტომ იქ გეგმის შესრულება 32,1 პროცენტს არ აღემატება. სტალინირის მტს-ში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 57,1 პროცენტით.

მთელ რიგ მტს-ებში მისაბმელი ინვენტარის დროულად შეკეთების შეუფასებლობას იჩენენ. სართიჭალისა და სტალინირის მტს-ებს ამ მხრივ დღემდე არაფერი გაუკეთებიათ. გუთნების რემონტი სამარცხვინოდ ჩამორჩა შინდისის, ახალქალაქისა და ვაჩიანის მტს-ებში. თუ საჭირო გარდატეხა ახლავე არ მოვახდინეთ, აღნიშნულ მტს-ებს თესვა მოუმზადებელს მოუსწრებს.

მივიწყებულია საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტი. გამონაკლისს წარმოადგენენ აბაშის რაიონი, სადაც 1.700 გუთნიდან უკვე შეკეთებულია 1.443 და ბოგდანოვკის რაიონი. დროა ბოლო მოვუღოთ საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტის საქმის შეუფასებლობას. საჭიროა ყველგან მოვაწყოთ საკოლმეურნეო სამჭედლოები, უზრუნველვყოთ ისინი ხელსაწყოებითა და მასალებით. ნუ დავივიწყებთ, რომ თესვისათვის კარგად მომზადებაში საკოლმეურნეო სამჭედლოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მარტოოდენ შეკეთება როდი კმარა. მთავარია ამ მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებზე. ამისათვის კი აუცილებელია მოვამზადოთ კადრები. წელს ჩვენს რესპუბლიკაში უნდა მომზადდეს 1.065 მექანიზატორი. საჭიროა კურსები და სკოლები მთლიანად შევავსოთ მსმენელებით, შეუქმნათ მათ მეცადინეობის ნორმალური პირობები, სწორად შევახამოთ თეორიული და პრაქტიკული სწავლება. ტრაქტორისტები, კომბაინერები, მექანიკოსები უნდა მოვამზადოთ არა ნაჩქარევად, თესვის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, როგორც ეს შარშან ცალკეულ მტს-ებში მოხდა, არამედ აქედანვე, ზამთარში.

უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობებში მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადება. საჭიროა ზამთარში დავამთავროთ მემინდვრეობის ბრიგადირების, მერგოლეების, მეცხოველეობის ფერმების გამგეების მომზადება და გადამზადება. მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებაში საპატიო ამოცანა ეკისრებათ ჩვენს აგრონომებსა და ზოოტექნიკოსებს. ისინი ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სწავლების სათანადოდ დაყენებაში.

თესლი გაზაფხულისათვის მზადების ერთ-ერთი გადამწყვეტი უბანია, მაგრამ ზოგან ამას ივიწყებენ. ბაშკიჩეთის, დუშეთისა და ქარელის რაიონებს დღემდე არ გამოუყვიათ მარცვლეული კულტურების სათესლე მასალა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბალახების თესლის მომარაგების დარგში. ადიგენის, ქარელის, ახმეტის ბორჩალოს, ბოლნისის რაიონებს მრავალწლიანი ბალახების თესლი სრულებით არ გამოუყვიათ. ამის გარეშე კი აბა რა თესლბრუნვაზე შეიძლება ლაპარაკი. აუცილებელია ყველა კოლმეურნეობამ ამთავითვე იზრუნოს სათესლე მასალისა და კერძოდ, ბალახების თესლის შეძენისათვის.

მაგრამ მარტო თესლის გამოყოფა და შეძენა არ კმარა. საჭიროა მისი გაწმენდა, დახარისხება და სათეს კონდიციამდე აყვანა, რაც ზამთარში უნდა მოხდეს. ამას ივიწყებენ ადიგენის, ხაშურის, ბაშკიჩეთისა და ბოლნისის რაიონებში, სადაც თესლის გაწმენდა ჯერ არ დაუწყიათ.

წელს მნიშვნელოვანი ფართობი მუშასაქონლით უნდა მოიხნას და დაითესოს, მაგრამ მუშა-საქონელს ზოგან სათანადოდ არ უვლიან. ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის სტალინის და სოფელ აბასთუმნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში ხარებს წესიერად არ კვებავენ. ეს ფაქტი იშვიათი გამონაკლისი როდია. საჭიროა გავაუმჯობესოთ მუშა საქონლის მოვლა-პატრონობა, თესვის დაწყებამდე 2-3 კვირით ადრე მაინც მუშასაქონელი გადავიყვანოთ გაძლიერებულ კვებაზე, ჯანსაღად გამოვაზამთროთ პირუტყვი.

თესვისათვის მზადების მნიშვნელოვანი უბანია სასუქის დამზადება და მინდვრად გატანა. კარგად იქცევიან მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებიც დიდძალ ნაკელს და სხვა ადგილობრივ სასუქს ახლავე ამზადებენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე—10 თებერვალი მოახლოვდა. კოლმეურნეების, სოფლის მეურნეობის მუშაკების, ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების ღირსების საქმეა არჩევნებს შეხვდნენ თესვისათვის ბოლშევიკურად მომზადებულნი. კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციასთან ერთად უნდა დავუკავშიროთ თესვისათვის მომზადების კონკრეტულ ამოცანებს.

ახალი წარმატებებით შევხვდეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

# ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო კრება

გუშინ, 26 იანვარს, რუსთაველის თეატრში შესდგა ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო კრება.

საღამოს 5 საათისათვის თეატრი აივსო საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსების, მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკთა, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებით, დიასახლისებით, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივით.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბუჯიაშვილი, ა. თოფურიძე, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. კუპრაძე, ვ. მჟავანაძე, ვ. ლოლაძე, პროფესორი ა. ურუშაძე და სხვ.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ნდობით აღჭურვილმა პირმა, თბილისის საავიაციო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ვ. ბახტაძემ. შემოდის წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

— ხალხთა ბელადი, დიდი სტალინი!

დარბაზში გაისმა მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. დამსწრენი მიესალმებიან დიადი სტალინური კონსტიტუციის შემოქმედს, ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მთელი საბჭოთა ხალხის პირველ კანდიდატს ამხანაგ სტალინს.

დიდ სტალინთან ერთად საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ანდრეევი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი და ვოზნესენსკი.**

ტრიბუნაზე ადის ნდობით აღჭურვილი პირი, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საქსოვი საამქროს სტახანოველი ამხ. ე. ჯავახიშვილი.

— ჩვენ აღფრთოვანებით ვემზადებით არჩევნების დღისათვის, — სთქვა მან. ჩვენ გვინდა საყვარელი სამშობლო ვნახოთ კიდევ უფრო მძლავრი, აყვავებული. დიდი სამამულო ომი საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ომმა მრავალი ჭრილობა მოგვაყენა. საჭიროა სასწრაფოდ მოვიშუშოთ ეს ჭრილობები, ავამაღლოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე. ამ ამოცანების გადასაჭრელად ჩვენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში უნდა ავირჩიოთ ხალხის ერთგული შვილები, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის თავდადებული ადამიანები.

სტალინის რაიონის მშრომელები ვამაყობთ, რომ 10 თებერვალს ხმას მივცემთ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, ქართველი ხალხის დიდ მოამაგეს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამხანაგ ბერიას თანხმობამ, რომ კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში, უსაზღვრო აღფრთოვანება ყველა მშრომელი. ისინი 10 თებერვალს უკლებლივ გამოცხადდებიან საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სახელოვან კანდიდატს ამხანაგ ბერიას.

ჩვენ ხმას მივცემთ აგრეთვე დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძეს — საქართველოში სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთ ინიციატორს, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებულ ადამიანს.

ამხ. ჯავახიშვილს ტრიბუნაზე სცვლის სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი ამხ. ტალალაევი, რომელმაც დამსწრეთ მოუწოდა ხმა მისცენ საბჭოთა ხალხის ღირსეულ შვილებს, მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებულ ადამიანებს.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს უპარტიოებმა — დიასახლისმა ნ. თოფურიძემ და პედაგოგმა ა. კარტოზიამ.

— მე,—სთქვა ნ. თოფურიძემ,—მოვუწოდებ სტალინის რაიონის დიასახლისებს ხმა მისცენ ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკა ააყვავა და გვიხსნა ბარბაროსთა ურდოებისაგან 1942 წელს. მე მოვუწოდებ ჩვენს დიასახლისებს ხმა მისცენ დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძეს, როგორც ლენინ-სტალინის საქმისათვის, ხალხის საქმისათვის თავდადებულ ადამიანს.

სიტყვა აიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძემ. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის — დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისათვის და განაცხადა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ. მან დამსწრეთ მოუთხრო, თუ რა დიდი აღმავლობაა რაიონის საწარმოებში, როგორი თავდადებით მუშაობენ საწარმოთა კოლექტივები, რათა ახალი მიღწევებით აღნიშნონ დიადი თარიღი — 10 თებერვალი.

— ჩვენი რაიონის მშრომელებში,— სთქვა ამხ. ლოლაძემ, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას თანხმობამ კენჭი იყაროს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში. ამხანაგ ბერიას ეს ნდობა ავალებს თვითეულ ჩვენგანს კიდევ უფრო გააუმჯობესოს მუშაობა, გააკეთოს ყველაფერი ჩვენი საყვარელი სამშობლოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომი ამაღლებისათვის.

ამომრჩეველთა კრებამ ერთხმად მიიღო მიმართვა ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის ამომრჩევლებისადმი.

უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო წინასაარჩევნო კრებამ ტექსტები მისალმებებისა ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელზე.

# ეტლიმ საუზმე გამართა ა. ი. ვიშინსკის პატივსაცემად

**ლონდონი,** 24 იანვარი. (საკდესი). დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ საუზმე გამართა ა. ი. ვიშინსკის პატივსაცემად.

# წითელი არმიის გენერლების, ოფიცრებისა და მებრძოლების დაჯილდოება ჩინეთის ორდენებით

**ჩანჩუნი,** 24 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ბანკეტი, რომელიც გენერალისიმუს ჩან კაი-შის მეუღლის ჩამოსვლის აღსანიშნავად მოაწყო ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციების პოლიტიკურ საქმეთა კომისიამ.

ქ-ნმა ჩან კაი-შიმ ჩინეთის ორდენები გადასცა საბჭოთა გენერლებს, წითელი არმიის ოფიცრებსა და მებრძოლებს. ორდენებით დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი მალინოვსკი, გენერალ-პოლკოვნიკი შტიკოვი, გენერალ-ლეიტენანტი ტროცენკო, გენერალ-პოლკოვნიკი კოვალიოვი, გენერალ-პოლკოვნიკი დეგტიარევი, გენერალ-პოლკოვნიკი კრავჩენკო და სხვები—სულ 116 კაცი.

# საფრანგეთის ახალი მთავრობის შედგენისათვის

**პარიზი,** 25 იანვარი. (საკდესი). მთავრობის შემადგენლობის ირგვლივ შემდეგ გრძელდებოდა წინათ დაწყებული მოლაპარაკება სამი ძირითადი პარტიის წარმომადგენელთა შორის. ამ მოლაპარაკებას, რაც 23 იანვრის გვიან ღამემდე გაგრძელდა, დადებითი შედეგი არ მოუცია და გადადებულ იქნა. „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის წარმომადგენლი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მთავრობის პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო სამივე პარტიის შემდეგი ვალდებულებანი: პირველ, უარი სთქვან ერთიერთ კრიტიკაზე, მეორე, მხარი დაუჭირონ „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის წინადადებას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ახალ კონსტიტუციაში შეტანილ იქნას წინადადება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებათა წინანდელ ფარგლებამდე გაფართოების შესახებ, აგრეთვე მეორე პალატის შექმნის შესახებ, რომელსაც ექნება სათათბირო ხასიათი და შესდგება ოჯახის, კორპორაციის, პროფესიისა და სხვ. წარმომადგენელთაგან. გარდა ამისა, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტია დაჟინებით მოითხოვდა საეკლესიო სკოლების შენარჩუნებას და მათთვის სახელმწიფო დახმარების გაწევას. „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის მოთხოვნათა უმეტესობა უარყოფილ იქნა ორი სხვა პარტიის მიერ. კერძოდ, კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები გადაჭრით გამოსთქვამდნენ აზრს სამი პარტიის მიერ რაიმე კონსტიტუციური ვალდებულების მიღების წინააღმდეგ, ვინაიდან საკონსტიტუციო საკითხები შედგენენ არა მთავრობის, არამედ დამფუძნებელი კრების კომპეტენციას.

სამი პარტიის მოლაპარაკება დამთავრდა მხოლოდ 24 იანვრის საღამოს. ტექსტი სამი პარტიის შეთანხმებისა მათ მიერ მიღებული პროგრამის შესახებ ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. მაგრამ, პარლამენტის წრეებში მიღებული ცნობებით, ეს შეთანხმება შეიცავს შემდეგ ექვს ძირითად მუხლს: 1. ოთხი თვის განმავლობაში, რაც პარლამენტის ახალ არჩევნებამდე რჩება, ცხოვრებაში გატარება დამფუძნებელი კრების ყველა გადაწყვეტილებისა და წინადადებისა, რომლებიც მიღებულია ერთხმად ან ხმის უმეტესობით. 2. განხორციელება საერთო ღონისძიებათა, რომლებსაც სამივე პარტიის პროგრამა შეიცავს. 3. ნაციონალიზაციის გატარება ეკონომიკის იმ სექტორებში წინასწარი დაზუსტებით, რომლებიც ნაციონალიზაციას ექვემდებარებიან. 4. პროფკავშირული ცენტრალური ორგანოების პროპორციული წარმომადგენლობის შემოღება სამინისტროების აპარატში (მხედველობაში მიღებულია შრომის საყოველთაო კონფედერაციის, აგრეთვე ქრისტიან მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენლობა). 5. ერთიერთობის გაწყვეტა ფრანკოს მთავრობასთან. 6. მთავრობის არსებობის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნება სასკოლო განათლების სტატუტი, რომელიც 1939 წლამდე არსებობდა. ამასთან პარტიები ინარჩუნებენ საჯარო კრიტიკის, აგრეთვე ამ საკითხში თავიანთი თვალსაზრისის დაცვის თავისუფლებას. ეს პუნქტი წარმოადგენს დათმობას, რაც ორმა პარტიამ გაუწია „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიას, რომელიც დაჟინებით მოითხოვს საეკლესიო განათლების შენარჩუნებას.

* * *

**პარიზი,** 25 იანვარი (საკდესი). გუენმა, რომელსაც განზრახული აქვს კაბინეტის შემადგენლობაში, გარდა სამი ძირითადი პარტიის წარმომადგენლებისა, შეიყვანოს აგრეთვე რადიკალები, ერიოს მიმართა წინადადებით, გამოჰყოს კანდიდატები რადიკალთა პარტიისაგან. მაგრამ რადიკალთა პარტიის აღმასრულებელმა კომისიამ, რომელიც გუშინ დღისით შეიკრიბა, გადაწყვიტა არ მიიღოს გუენის წინადადება და უარი სთქვა ახალ მთავრობაში მონაწილეობაზე.

# საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

**პარიზი,** 26 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ჩამოყალიბდა საფრანგეთის ახალი კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—ფელიქს გუენი (სოციალისტი), რომელიც ამავე დროს ასრულებს ნაციონალური თავდაცვის მინისტრის მოვალეობას.

მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეები და უპორტფელო მინისტრები—ფრანსისკ გე („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტია — მრპ), და მორის ტორეზ. (კომუნისტი).

საგარეო საქმეთა მინისტრი — ჟორჟ ბიდო (მრპ).

იუსტიციის მინისტრი—პიერ ტეიტჟენ (მრპ).

შეიარაღებული ძალების მინისტრი — ედუარდ მიშლე (მრპ).

შეიარაღების მინისტრი — შარლ ტიიონი (კომუნისტი).

შინაგან საქმეთა მინისტრი — ანდრე ლე ტროკერი (სოციალისტი).

ნაციონალური ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრი — ანდრე ფილიპი (სოციალისტი), მინისტრის მოადგილე — ალბერ გაზიე (შრომის საყოველთაო კონფედერაცია).

საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი ჟიულ მოკი (სოციალისტი).

ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — ჟან ლეტურნო (მრპ).

სამრეწველო წარმოების მინისტრი — მარსელ პოლი (კომუნისტი), მინისტრის მოადგილე — ოგიუსტ ლეკერი (კომუნისტი).

შრომის მინისტრი — ამბრუაზ კრუაზა (კომუნისტი) მინისტრის მოადგილე — მარიუს პატინო (კომუნისტი).

ყოფილ ფრონტელთა და ომისაგან დაზარალებულთა საქმის მინისტრი — ლორან კაზანოვა (კომუნისტი).

სოფლის მეურნეობის მინისტრი — ტანგი პრიჟანი (სოციალისტი).

მომარაგების მინისტრი — ლონშამბონი (სოციალისტი).

სახალხო განათლების მინისტრი — ნეგლენი (სოციალისტი).

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — რობერ პრიჟანი (მრპ).

საფრანგეთის საზღვარგარეთის სამფლობელოთა მინისტრი—მარიუს მუტე (სოციალისტი).

ქალაქების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის მინისტრი — ფრანსუა ბიიუ (კომუნისტი).

# მთავრობის კრიზისი ირანში

**თეირანი,** 26 იანვარი. (საკდესი) მეჯლისმა (ირანის პარლამენტმა) მხარი დაუჭირა ირანის პრემიერ-მინისტრის პოსტზე კავამ-ეს-სალტანეს დანიშვნას.

**ლონდონი,** 26 იანვარი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, მეჯლისის წინადადების შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტზე კავამ-ეს-სალტანეს დანიშვნის შესახებ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ იგი დღეს საღამოსვე შეუდგება უმიშროების საბჭოში ირანის მიმართვის საკითხის გადაჭრას და „უშუალო მოლაპარაკებას დაიწყებს რუსებთან, როგორც კი შაჰი დაამტკიცებს მის დანიშვნას".

# უნგრეთის ეროვნული კრების სხდომა

**ბუდაპეშტი,** 24 იანვარი. (საკდესი). სამობაო არდადეგების შემდეგ დღეს მუშაობა განაახლა უნგრეთის ეროვნულმა კრებამ. პრემიერ-მინისტრმა ტილდი ზოლტანმა უნგრეთის მთავრობის სახელით წინადადება შეიტანა განხილულ იქნას პროექტი კანონისა უნგრეთის სახელმწიფო წყობილების ფორმის შესახებ.

ეროვნულმა კრებამ მიიღო პრემიერ-მინისტრის წინადადება—კანონპროექტი გამრავლებულ იქნას და დარიგდეს განსახილველად.

შემდეგ ეროვნული კრების წესდების შემმუშავებელმა კომისიამ განსახილველად შეიტანა წესდების პროექტი. მისი ეგზემპლარები დეპუტატებს დაურიგდება გასაცნობად. წესდების განხილვა ხვალ დაიწყება. ამით დასრულდა ეროვნული კრების იანვრის სესიის პირველი სხდომა.

ეროვნული კრების სხდომას დაესწრნენ უნგრეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი უნგრეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

# საქდესის ცნობა

22 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ბ-ნმა აჩესონმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს იალტის საიდუმლო შეთანხმება ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირისათვის უფლების მინიჭებას მოეხდინა კურილის კუნძულების ოკუპაცია, მაგრამ, რამდენადაც მას ესმის, ეს შეთანხმება არ ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირისათვის კურილის კუნძულების საბოლოოდ გადაცემას, ბ-ნმა აჩესონმა დამატებით განაცხადა, რომ „ასეთია მისი აზრი, თუმცა შეიძლება იგი სცდებოდეს".

საქდესს დავალებული აქვს განმარტოს, რომ ბ-ნი აჩესონი კურილის კუნძულების საკითხში მართლაც „სცდება". სამი სახელმწიფოს იალტის შეთანხმებაში, რომელსაც 1945 წლის 11 თებერვალს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრიდან ი. ბ. სტალინმა, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ბ-ნმა რუზველტმა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან ბ-ნმა ჩერჩილმა, და რომელიც თავის დროზე გამოქვეყნებული არ იყო გასაგები მიზეზების გამო, ზუსტად არის ნათქვამი, რომ იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირს გადაეცემა კურილის კუნძულები და, რომ აგრეთვე კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილი და მისი მომიჯნავე კუნძულები უბრუნდება საბჭოთა კავშირს.

# ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი კერი

25 იანვარს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ არჩიბალდ კლარკ კერი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხანაგ ნ. მ. შვერნიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშახელით უზრუნველყოფის საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას ამხანაგი ნიკოლოზ მიხეილის-ძე **შვერნიკი ლენინის ორდენით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 24 იანვარი.

# საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 20 იანვრისათვის ვადამდე ერთი თვითა და 10 დღით ადრე შეასრულეს 1945 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმა.

მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნედლეული და გეგმა შეასრულეს 100,3 პროცენტით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ თამბაქოს დამზადების გეგმა შეასრულა 139,2 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკამ—117,2 პროცენტით.

თამბაქოს დამზადება გრძელდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

# სტახანოველთა საქალაქო სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

**25 იანვარს თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა მუშაკების სოციალისტურ შეჯიბრებაში მჭედლებს შორის კვლავ ყველას გაუსწრო 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ვ. კორძაძემ, რომელმაც ამ დღის გეგმა 947 პროცენტით შესრულა.**

**ხარატებს შორის საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები მოგვცეს ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველებმა მ. დანელიამ, რომელმაც გეგმა 616 პროცენტით შეასრულა, და ნ. ნიკულინმა, რომელმაც გეგმა შეასრულა 556 პროცენტით. კარგად იმუშავეს აგრეთვე 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველებმა ა. ბალდასაროვმა (გეგმა შეასრულა 540 პროცენტით) და მ. აკოფოვმა (გეგმა შეასრულა 480 პროცენტით). შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ხარატები მ. ფსუტური (გეგმა შეასრულა 500 პროცენტით) და მ. მამაგეიშვილი (გეგმა შეასრულა 437 პროცენტით).**

**ზეინკლებს შორის კარგი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ზეინკალმა მ. კრატიუკმა, რომელმაც დღიური ნორმა 529 პროცენტით შეასრულა.**

**მექვაბეებს შორის ამ დღეს ყველაზე უკეთ იმუშავა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მექვაბეთა ბრიგადამ, რომელსაც ნ. ნოიანოვი ხელმძღვანელობს. ამ დღის დავალება მან 340 პროცენტით შეასრულა.**

**მეყალიბეებს შორის კარგი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა ტ არამიანმა (26 კომისრის სახელობის ქარხანა), რომელმაც გეგმა 900 პროცენტით შეასრულა.**

# ზესტაფონელი მეტალურგები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

**ზესტაფონი,** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოლიბდენის საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი ნინო რაზმაძე ხელმძღვანელობს, 25 იანვრისათვის შეასრულა ლითონის გამოდნობის იანვრის გეგმა.

საწარმოს დავალებების შესასრულებლად კარგად მუშაობდნენ მეტალურგები პითორელიძე, ჭიჭინაძე და ჟორჟოლიანი.

საამქროს კოლექტივმა იკისრა თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დიდძალი ლითონი გამოადნოს.

ვ. ჩიოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასამართლო პროცესი უკრაინის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

### 23 იანვრის საღამოს სხდომა

**კიევი**, 24 იანვარი. (საქტელი). საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა.

მოწმე **ივახნენკო**, რომელიც გერმანული ოკუპაციის დროს ბოროდიანკაში იმყოფებოდა და იმ დღეებში დააპატიმრეს ვილიზერმა და მისმა ბანდამ, აჩვენებს, რომ, ვილიზერი და ბეკენკოფი სისტემატურად ხვრეტდნენ დაპატიმრებულთ. ამ ფაშისტმა ჯალათებმა ბოროდიანკაში დახოცეს და აწამეს 150 კაცი.

იმ საშინელ ტრაგედიაზე, რომელიც მაკაროვის რაიონის სოფელ კოდრაში მოხდა, სამხედრო ტრიბუნალს უამბობს მოწმე კუროვსკი.

—1943 წლის 21 აპრილს,—ამბობს მოწმე,—განთიადისას სოფელ კოდრას მოვიდა სადამსჯელო რაზმი. პირველად შემოვიდნენ ჯავშნიანი მანქანები, შემდეგ კი ქვეითი ჯარი გამოჩნდა. გერმანელები გარსშემოერტყნენ სოფელს და მთელი მოსახლეობა სკოლისა და სასაფლაოს რაიონში შეჰყარეს. ამ დროს დამსჯელებმა ცეცხლი წაუკიდეს საცხოვრებელ შენობებს. 3 საათის განმავლობაში სოფელი კოდრა ცეცხლში იყო გახვეული.

პროკურორი: რით იყო გამოწვეული ეს სადამსჯელო ექსპედიცია?

**მოწმე:** გერმანელებმა ჩვენ პარტიზანებად გამოგვაცხადეს.

პროკურორი: რამდენი სახლი დაიწვა სოფელში?

**მოწმე:** 640 სახლი, 2 შეშუელობის ქარხანა, სკოლა, ამბულატორია და კლუბი.

ბოროდიანკის რაიონის სოფელ რასკის გადაწვასა და 600 მშვიდობიანი მცხოვრების დახოცვაზე სასამართლოს უამბობს მოწმე კარასევიჩი.

ჰიტლერელების მიერ საბჭოთა სამხედრო ტყვეების საშინელ აბუჩად აგდებაზე სასამართლოს უამბო ხარკოვის ოლქის ბალაკლეევის რაიონის სოფელ ანდრეევკას ფერშალმა კ. ნ. როჟკინმა. ბანაკში მყოფთა უმეტესობა განწირული იყო აუცილებელი სიკვდილისათვის.

როჟკინის ჩვენებას ადასტურებს ფერშალი **მ. პ. ვასილევსკაია.**

მოწმემ **ე. ბ. ბაუმვალდმა** სასამართლოს უამბო გერმანელების მიერ ლვოვში ჩადენილი მასობრივი მხეცობის შესახებ.

— როგორც კი ჰიტლერელები ლვოვში შემოიჭრნენ, დაიწყო მასობრივი ძარცვა და ხვრეტა,—აჩვენებს მოწმე.—ადამიანებს მოათრევდნენ ბინებიდან, ამასთან აიძულებდნენ თან წამოეღოთ მთელი ძვირფასეულობა. იმათ, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, იქვე ხვრეტდნენ.

ბევრი მცხოვრები, პირველ რიგში ინტელიგენტები, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მიჰყავდათ. იქ ხდებოდა მასობრივი ხვრეტა. დახვრიტეს ბევრი გამოჩენილი პროფესორი, მწერალი, მეცნიერი მუშაკი. გერმანელთა ყოფნის პირველ დღეებში დახვრეტილ იქნა 20 ათასამდე ებრაელი.

**პროკურორი:** ბრალდებულო იზენმან, რამდენი ებრაელი დახვრიტეთ თქვენ ქალაქ ლვოვში?

**იზენმანი:** ჩვენმა განაყოფმა 800-მდე ებრაელი დახვრიტა. ჩვენ ლვოვში სულ 2 დღეს ვიყავით, დახვრეტას კი სხვა განაყოფებიც ეწეოდნენ.

შემდეგ მოწმე ბაუმვალდი ლაპარაკობს ცხოვრების პირობებზე საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ადამიანებს ხოცავდნენ დილით, დღისით და საღამოს. ფაშისტი ბანდიტები „ვარჯიშობდნენ" ცოცხალი სამიზნეების სროლაში, სტყორცნიდნენ გრანატებს. ამ ბანაკში მრავალი პლატფორმა იყო, რომლებითაც გაჰქონდათ დახვრეტილი და ნაწამები საბჭოთა ადამიანების გვამები.

მოწმე ბაუმვალდის დაკითხვით მთავრდება სასამართლოს საღამოს სხდომა.

# სასამართლო პროცესი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

### 23 იანვრის დილის სხდომა

**მინსკი**, 23 იანვარი. (საქტელი). სამხედრო ტრიბუნალის დილის სხდომა დაიწყო ბრალდებულ **გეტერისის** საქმის გამო მოწმეთა დაკითხვით.

მოწმეთა ჩვენების შემდეგ ადვოკატმა პეტრენკომ რამდენიმე შეკითხვა მისცა ბრალდებულ გეტერისს. ბრალდებულის პასუხიდან გამოირკვა, რომ ბატალიონი, რომელშიც ბრალდებული მსახურებდა, მონაწილეობას იღებდა ყველა დახვრეტაში.

გეტერისი უშუალო მონაწილეობას იღებდა 10 ათასი სამხედრო ტყვე წითელარმიელის დახვრეტაში.

შემდეგ დაკითხულ იქნენ ბრალდებული **როდენბუში**—გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურე, და **ფიშერი.**

სამხედრო ტრიბუნალმა დაიწყო 1940 წლიდან ჰიტლერული პარტიის წევრის, ბობრუისკის კომენდატურის ზონდერფიურერის, ქალაქის ბანაკებისა და საპყრობილეთა ხელმძღვანელის ბრალდებულ **ბურჰარდის** დაკითხვა. იგი განკარგულებას იძლეოდა პატიმართა დახვრეტის შესახებ და პირადად მონაწილეობდა დახვრეტაში. მისი მითითებით დახვრიტეს ათასამდე საბჭოთა მოქალაქე, 2,5 ათასი კაცი გერმანულ მონობაში გარეკეს. ქალაქ როგაჩევში იგი პირადად იღებდა მონაწილეობას ძარცვასა და ხოცვა-ჟლეტაში და 1.500-ზე მეტი კაცის მასობრივ დახვრეტაში.

ბრალდებულ ბურჰარდის დაკითხვით მთავრდება სამხედრო ტრიბუნალის სხდომა.

### 23 იანვრის საღამოს სხდომა

**მინსკი**, 24 იანვარი. (საქტელი). სამხედრო ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ **ბურჰარდის** დაკითხვა.

ბრალდებულ ბურჰარდს, რომელიც ბობრუისკში იმყოფებოდა ორწელიწადნახევარზე მეტ ხანს, გერმანიის სარდლობის მიერ მინდობილი ჰქონდა შრომითი ბანაკის მეთვალყურეობა. რეჟიმი ამ ბანაკში, რომელშიც 4 ათასამდე მშვიდობიანმა მოქალაქემ გაიარა, მხეცური იყო.

ბრალდებულმა ბურჰარდმა გერმანიის საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნა დაახლოებით 2,5 ათასი საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც ამის წინ ეგრეთწოდებულ „ევაკუირებულთა ბანაკში" იმყოფებოდნენ.

ბობრუისკში შექმნილი იყო აგრეთვე ბანაკი „სადო", რაც ნიშნავს „ძაღლდატანებით მომუშავე რაზმს". ამ ბანაკში მყოფ ადამიანებს იყენებდნენ სიმაგრეებისა და თავდაცვის მოსაწყობად, ამასთან მათ ხშირად უხდებოდათ არტილერიის ცეცხლქვეშ მუშაობა. ზონდერფიურერი ბურჰარდი ხელმძღვანელობდა აგრეთვე სოფლების გადაწვას და უსახლკაროდ დარჩენილ მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტას, საბჭოთა სამხედრო ტყვეების ხვრეტას.

შემდეგ ბურჰარდი ადასტურებს წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემულ ჩვენებას იმის შესახებ, რომ ბობრუისკში უსახლკაროდ იყო დატოვებული 10.000-მდე მშვიდობიანი მცხოვრები.

მაგრამ ბრალდებული ცდილობს შეარბილოს თავისი დანაშაული და იმას იმოწმებს, რომ იგი „რიგითი ადამიანი" იყო.

— თქვენ რომ უბრალო რიგითი [illegible] ყოფილიყავით, ბანაკში არ მიგიშვებდნენ საეგზეკუციოდ, — აცხადებს პროკურორი.

ბურჰარდი, როგორც ყოველთვის, ფრთხილად უპასუხებს: „შესაძლოა აგრე იყოს". ფაქტები და დოკუმენტები ამჟღავნებენ ბურჰარდს, როგორც სისხლისმსმელ ჯალათს, მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხედრო ტყვეების დახვრეტის ორგანიზატორს, როგორც მოსახლეობის „დასაშინებლად" სოფლების მომსპობს.

ბურჰარდის დაკითხვით მთავრდება საღამოს სხდომა.

# სასამართლო პროცესი ველიკიე ლუკის ოლქში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მხეცობის საქმის გამო

**ველიკიე ლუკი**, 24 იანვარი. (საქტელი). დღეს აქ ლენინგრადის ოლქის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო საქმის მოსმენა ველიკიე ლუკის ოლქში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მხეცობის გამო. სასამართლო პასუხისგებაში მიცემულია 11 კაცი: გერმანიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ფრიც ფონ **რაპარდი**, ქალაქ ველიკიე ლუკის გარნიზონის ყოფილი უფროსი და 277 ქვეითი პოლკის მეთაური, ხოლო შემდეგ 83 და 7 ქვეითი დივიზიების მეთაური; გერმანიის არმიის პოლკოვნიკი ედუარდ ფონ **ზასი**, ქალაქ ველიკიე ლუკის გარნიზონის ყოფილი უფროსი და 277 ქვეითი პოლკის მეთაური; გერმანიის არმიის მაიორი ვილჰელმ **ზონენფელდი**, ქალაქ ველიკიე ლუკის ყოფილი კომენდანტი; ელარდ **კულენკამპი**, გერმანიის არმიის უფროსი ლეიტენანტი; ვალტერ **კნაუფი**, გერმანიის არმიის კაპიტანი; ჰუგო **ჰანი**—ზონდერფიურერი, გერმანიის არმიის ლეიტენანტი; ფრიდრიხ **ვოლფი**—ზონდერფიურერი, გერმანიის არმიის ლეიტენანტი, სებეჟში, იდრიცასა და ნეველში მოქმედი გერმანელთა სადამსჯელო ორგანოების ყოფილი თარჯიმანი; კარლ **ჰეშელი**—გერმანიის არმიის ფელდფებელი, საველე ჟანდარმერიის ყოფილი უფროსი, ქალაქ ნეველში, მაქს **ჰერში**—ობერეფრეიტორი, ერნსტ **რატცი**—ფელდფებელი და ვილჰელმ **კუნკელი**—ობერეფრეიტორი.

საქმის განხილვა სწარმოებს სამხედრო ტრიბუნალის ღია სასამართლო სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე იუსტიციის გენერალ-მაიორი ამხ. მარჩუკი და ტრიბუნალის წევრები იუსტიციის პოდპოლკოვნიკი ამხ. პეტროვი და იუსტიციის მაიორი ამხ. რაკოვი, სამხედრო პროკურორის იუსტიციის პოლკოვნიკ ამხ. **დუნაევის** და სასამართლოს მიერ დანიშნული დამცველების — ადვოკატების ამხ. კროლენკოს, ბორისოვის, **მიხეევის, ვ. გ. მარკოვის, ტკაჩოვის, სტარკოვის, ვოლკოვის, ვ. ვ. მარკოვის** მონაწილეობით.

სხდომაზე გამოქვეყნდა საბრალდებო დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედების დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის აქტებით და ამ საქმეზე წინასწარი გამოძიების მასალებით გამორკვეულია, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად ველიკიე ლუკის ოლქის შემადგენლობაში შედის, გერმანელ დამპყრობთა მიერ მოსპობილია 60 ათასამდე მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე და საბჭოთა სამხედრო ტყვე; გერმანიის მონობაში გარეკილია 42 ათასზე მეტი საბჭოთა ადამიანი; სახალხო მეურნეობისა და მოქალაქეებისათვის მიყენებულია მრავალი მილიარდი მანეთის მატერიალური ზარალი.

გამოძიებით გამორკვეულია, რომ ველიკიე ლუკის ოლქის ტერიტორიაზე გერმანელი დამპყრობლები, მათ შორის ამ საქმის გამო ბრალდებულნი, გეგმაზომიერად ეწეოდნენ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ნგრევას, სამრეწველო საწარმოთა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა, სოფლის მეურნეობისა და მოქალაქეთა ქონების მოსპობასა და ძარცვას. გერმანელმა დამპყრობლებმა თითქმის მთლიანად გადასწვეს და დაანგრიეს ქალაქები ველიკიე ლუკი, პუსტოშკა, ხოლმი და ათასზე მეტი სასოფლო დასახლებული პუნქტი.

ოლქის ტერიტორიაზე გერმანელებმა დაანგრიეს და გაძარცვეს ასობით სამრეწველო საწარმო, მოსპეს 137 ელექტროსადგური და ქვესადგური, ათასზე მეტი სასკოლო შენობა, 220 საავადმყოფოს, პოლიკლინიკის, ამბულატორიის შენობა, 60 ათასზე მეტი საკოლმეურნეო ნაგებობა, მოსპეს და დაიტაცეს დიდძალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობა, 140 ათას სულამდე მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 80 ათასზე მეტი ცხენი, 200 ათასამდე სული წვრილფეხა საქონელი და ბევრი სხვა ქონება, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მოქალაქეებს ეკუთვნოდა.

საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია კონკრეტული დანაშაულობანი, რომლებშიც გამოძიების მასალებით მხილებულნი არიან ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული ბრალდებულნი ფონ რაპარდი, ფონ ზასი, ზონენფელდი, კულენკამპი, კნაუფი, ჰანი, ვოლფი, ჰეშელი, ჰერში, რატცი და კუნკელი.

საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული ჰერში.

# მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის სანიმუშო საარჩევნო უბანი

როგორც ცნობილია, ხალხთა დიდი ბელადი, ჩვენი გამარჯვებების გენიალური შემოქმედი ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში.

ამ ოლქის მშრომელები, რომლებსაც პატივი ხვდათ მთელი საბჭოთა ხალხის სახელით აირჩიონ დეპუტატად ამხანაგი სტალინი, უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, აგიტატორები, აგიტპუნქტები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა სანიმუშოდ მოაწყონ ყველაფერი, ყოველმხრივ მზად შეხვდნენ არჩევნებს. მათ მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ.

ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტი დაუკავშირდა ამ საარჩევნო ოლქის ერთ-ერთი მოწინავე საარჩევნო უბნის—№ 18 საარჩევნო უბნის მუშაკებს და სთხოვა მათ გაეზიარებინათ თავიანთი მუშაობის გამოცდილება „კომუნისტის" მკითხველთათვის. ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ ამაზე. ქვემოთ ვათავსებთ № 18 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნის, აგიტპუნქტის გამგისა და აგიტატორის წერილებს.

• • •

## საარჩევნო უბანი № 18

ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის შერაკოვსკის ქუჩაზე, ავტოსატრაქტორო ელექტრო-მოწყობილობის ქარხნის ერთერთ სახლში მოთავსებულია საარჩევნო უბანი № 18.

აქ ყოველ მომსვლელს თავაზიანად ხვდებიან, ზრუნავენ მისთვის. საარჩევნო უბანში ყველაზე ვრცელი ოთახი აგიტპუნქტს უკავია. პუნქტს განაგებს ქარხნის ერთ-ერთი ახალგაზრდა ინჟინერი მეტალურგი ვლადისლავ ფრანცის-ძე გალინოვსკი. აგიტპუნქტში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას არის ამხანაგ სტალინის ბრინჯაოს ბიუსტი და პორტრეტი.

„გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას, სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციას!", „გაუმარჯოს საბჭოთა დემოკრატიას!"—ტილოზე ლამაზად დაწერილი ეს ლოზუნგები გადაჭიმულია მთელი კედლის სიგრძეზე. შუაგულში დგას გრძელი მაგიდა, რომელზეც გადაფარებულია წითელი ქსოვილი. აქ მუდამ მრავალი მომსვლელია. კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, საუბრობენ, მეცადინეობენ წრეებში. განზე დგას ორი პატარა მაგიდა ჭადრაკისა და შაშის მოყვარულთათვის. კედლებთან ჩამწკრივებულია სკამები, დივნები. ფანჯრის რაფებზე, ეტაჟერებზე ცოცხალი ყვავილებია. ორ სხვა ოთახში მუშაობს საუბნო საარჩევნო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლები. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის ქარხნის დირექტორის თანაშემწე ყოფილი მეინსტრუმენტე ივანე პეტრეს-ძე პროზორინი, მის მოადგილედ მუშაობს ტატიანა ნიკოლოზის-ასული ალიფანოვა. ის „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით დაჯილდოებული მკერავ პრასკოვია ფილიპეს-ასულ ჩისტოვას ერთ-ერთი რვა შვილთაგანია.

მარტო ჩვენი ოჯახიდან,—ამბობს ალიფანოვა,—19 კაცი მოვა 10 თებერვალს, რათა ხმა მისცენ დიდ სტალინს.

იმავე ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი კონსტანტინე ვლადიმერის-ძე მილნიკოვი ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობას. იგი წინასაარჩევნო კამპანიის პირველი დღეებიდანვე აღფრთოვანებით შეუდგა მუშაობას.

საარჩევნო კომისიის რვა წევრი მორიგეობს უბანში. მათ შორის არიან: ინჟინერ-ტექნოლოგი ალექსი სერგის-ძე როჟკოვი, ზეინკალი ვლადიმერ გრიგოლის-ძე ჟუკოვი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ვასილ კუზმას-ძე პოლტევი, მუშა-ელექტრიკოსი ევგენი ალექსის-ძე გრიგორიევი, დიასახლისი ვერა დიმიტრის-ასული მატვეევა, ბუხჰალტერი კლავდია ივანეს-ასული ჩიბისოვა, ამწყობი მუშა ნადეჟდა თევდორეს-ასული კოპიტინა, დიდი სამამულო ომის მონაწილე ანტონინა იოსების-ასული ხახინა.

## საარჩევნო კომისიის კავშირი ამომრჩევლებთან

დიდი პატივი ხვდა ჩვენი უბნის ამომრჩევლებს—ხმა მისცენ ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს. ხმას მივცემთ რა მშობლიურ მამას, მასწავლებელს, ამით გამოვხატავთ არა მარტო ჩვენი ოლქის ამომრჩევლების, არამედ მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დაწყებისთანავე ჩვენმა საუბნო-საარჩევნო კომისიამ ფართოდ გაშალა მუშაობა, შევადგინეთ უბნის გეგმა, სახლთა ჯგუფებად დავანაწილეთ ყველა ქუჩა და თვითეულ ჯგუფს მივამაგრეთ საარჩევნო კომისიის წევრი. კომისიის პირველსავე სხდომაზე, სადაც მუშაობის ეტაპები დავსახეთ, ერთსულოვნად გადავწყვიტეთ: გულმოდგინედ, ღრმად შევისწავლოთ უბანი, ყოველდღიური კავშირი ვიქონიოთ ამომრჩევლებთან. პირველსავე დღეებში თვითეული ჩვენგანი ბეჯითად შეუდგა უბნის შესწავლას, პირადად შედიოდა თითქმის ყოველ ბინაში, ესაუბრებოდა ამომრჩეველს. და შემდეგ, როცა უბანთან მტკიცე კავშირი დავამყარეთ, კვლავ გულმოდგინედ ვადევნებთ თვალყურს ამომრჩეველთა ცხოვრებას, საჭიროებას.

ჩვენი საარჩევნო უბანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საყოფაცხოვრებო საკითხებს. ხშირად საარჩევნო კომისიის წევრებისა და აგიტატორების მისვლა საცხოვრებელ სახლში გამოყენებულია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ მომწიფებულ საყოფაცხოვრებო წინადადებებსა და საკითხებზე. უყურადღებოდ არ ვტოვებთ სხვადასხვა თხოვნას, რომლებითაც ამომრჩევლები მოგვმართავენ, როგორც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

მოჩალის ქუჩაზე № 20 სახლში ცხოვრობს ძველი ფეიქარი ნიკოლოზ ივანეს-ძე რიბინი. რამდენიმე წელია მას აწუხებს მწვავე რევმატული ტკივილების შეტევები. მას ოთახშიც სიარული ეძნელება. რიბინი სწუხდა, რომ 10 თებერვალს ვერ შესძლებდა მისვლას საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად. ამჟამად ნიკოლოზ ივანეს-ძე დამშვიდებულია. მან იცის, რომ 10 თებერვალს მსუბუქი მანქანით წაიყვანენ უბანში და ისევე მზრუნველობით დააბრუნებენ შინ. არჩევნებისათვის მზადების დღეებში მას ხშირად ეწვევიან კომისიის წევრები, აგიტატორები, ესაუბრებიან, უკითხავენ გაზეთს, წიგნს.

მატერიალური დახმარება გაეწია 76 წლის ევდოკია ოსიპის-ასულ შმელევას, სამამულო ომის ინვალიდს კუშინს, 85 წლის მარტოხელა კატკოვას.

საზამთრო არდადეგების დროს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულთა შვილები გაიგზავნენ საბავშვო მოედნებზე. ბავშვებს გაუმართეს ნაძვის ხე და დაურიგეს უხვი საჩუქრები. კარგად დაისვენეს მოედნებზე მარგალიტა სერგეევამ, ნინო პავლოვამ, გალია მატვეევამ და იური აზაროვმა—გმირი დედის შვილმა.

საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრაში მოსახლეობისათვის დახმარება გვაახლოებს მშრომელებთან, ხელს გვიწყობს, რომ უფრო კარგად გავართვათ თავი ჩვენს ძირითად ამოცანებს —მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

**ი. პ. პროზორინი**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

## არჩევნების დღისათვის

არჩევნებისათვის მზადებაში არ არსებობს ისეთი სამუშაო, რომელსაც შეიძლება წვრილმანი ეწოდოს. ყველაფერს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, როცა საქმე ეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

ჩვენ უკვე შევუდექით მზადებას ხმის მიცემის ადგილის გაფორმებისათვის. გულმოდგინედ ვამზადებთ ადამიანებს, რომლებიც არჩევნების დღეს მომსახურებას გაუწევენ ამომრჩევლებს. ჩვენი უბნის ხმის მიცემის ადგილი იქნება სკოლის შენობა. იგი მდებარეობს შერაკოვსკის ქუჩაზე. იანვრის პირველ რიცხვებში კომისიამ შეადგინა შენობის გაფორმების პროექტი. მე შევიმუშავე ამომრჩეველთა ნაკადის შეუფერხებელი მოძრაობის სქემა. შენობის გაფორმებაში ჩაბმულია ქარხნის მეინსტრუმენტე მუშა, თვითნასწავლი მხატვარი ფილატოვი.

ჩვენი ოლქის კანდიდატის ამხანაგი სტალინის პორტრეტით, ალმებით, ნაძვის ხეებით მორთული შენობის შესასვლელთან იქნება ლამაზი წარწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" ცოცხალი ყვავილებით მორთულ დერეფნებსა და ოთახებში დაფენილი იქნება ნოხები. ვესტიბიულში დაიდგმება დივნები და სკამები. ვიზრუნებთ ამომრჩეველთა ბავშვებისათვის. პირველი ოთახი შესასვლელთან დათმობილი აქვს ბავშვებს. აქ დაიდგმება პატარა საწოლები, დაბალი მოხერხებული ავეჯი, ბავშვების განკარგულებაში იქნება მრავალი გასართობი, სათამაშო. არჩევნებზე მოსულ დედას დამშვიდებით შეუძლია დაუტოვოს ბავშვი ხელმძღვანელს, მასობრივ მუშაკს, როცა თვითონ წავა ბიულეტენის ჩასაშვებად.

მხატვარი ფილატოვი აფორმებს კაბინებს. ფანჯრებზე მომწვანო ფარდები ოთახებს მისცემს მხიარულ იერს. კედლები მორთული იქნება პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტებით, მხატვრული სურათებით. ამომრჩევლები აქ დაინახავენ შიშკინის, ვასნეცოვის სურათებს და რუსული ფერწერის მრავალ სხვა შედევრებს, რომლებიც ცნობილია ტრეტიაკოვის გალერიის ექსპოზიციების მიხედვით.

ჩვენი უბანი წინასაარჩევნო დღეებში სერიოზულ ყურადღებას უთმობს რეგისტრატორთა მომზადებას, რომლებიც სიებში მონახავენ ამომრჩეველთა გვარებს, როცა ისინი მოვლენ ხმის მისაცემად. რეგისტრატორებად ამოვირჩიეთ უნარიანი ადამიანები. უბანთან მოვაწყეთ სემინარი, სადაც კვირაში ორჯერ მეცადინეობას ვმართავთ სიების შესასწავლად, ამასთან ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად ვიპოვოთ საჭირო გვარი სიაში. ჩვენს უბანში ორი ათასამდე ამომრჩეველია. სიები დავყავით 7 ანბანურ ნაწილად ანბანის მიხედვით. ეს მომზადება დაზოგავს მოსულთა დროს და არ დაარღვევს მოძრაობის ნაკადურობას.

არჩევნების დღე ახლოვდება. თვითეული საარჩევნო უბნის ღირსების საქმეა სანიმუშოდ ჩაატაროს მთელი მოსამზადებელი მუშაობა.

**კ. მილნიკოვი**

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი

## სააგიტაციო პუნქტი

პოლიტიკური სიმახვილე, მგზნებარება, მასებთან მჭიდრო კავშირის დამყარების უნარი—აი რა თვისებები უნდა გააჩნდეს საარჩევნო უბანში მომუშავე აგიტატორს.

ჩვენი საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში 55 აგიტატორი მუშაობს. თვითეული მათგანი მომსახურებას უწევს 30—50 კაცს. აგიტატორები თავიანთ საუბარს აგებენ კონკრეტულ ფაქტებზე. ისინი ამომრჩევლებს მოუთხრობენ საბჭოთა ქვეყნის ძლიერებაზე, მოუწოდებენ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ. აგიტატორებს თავიანთი მუშაობის აუცილებელ პირობად მიაჩნიათ ყოველი ამომრჩევლის ცხოვრების ცოდნა. ისინი ითვალისწინებენ ამომრჩეველთა თვითეული ჯგუფის კულტურულ დონეს.

ჩვენმა სააგიტაციო პუნქტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა მოსახლეობასთან. შექმნილია აქტივი, რომელიც ენერგიულ მონაწილეობას იღებს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გეგმების შედგენასა და განხილვაში.

პუნქტი ისწრაფვის მრავალფეროვანი გახადოს სააგიტაციო მუშაობის ფორმები. ფართოდ ვიყენებთ კინოს, რადიოს, ექსკურსიებს. მოსახლეობა უდიდეს ინტერესს იჩენს საერთაშორისო პოლიტიკისადმი. თვითეულმა აგიტატორმა წესად დაიდო წინასწარ კარგად მოემზადოს ყოველი მეცადინეობისათვის, ვინაიდან აგიტატორისაგან მოელიან არა განმეორებას, არამედ მომხდარი ამბების უნარიან განზოგადებას, ანალიზს, ნათქვამის ციფრებითა და ფაქტებით დადასტურებას. აგიტატორებს საუბრებზე მიაქვთ თვალსაჩინო სახელმძღვანელოები, გეოგრაფიული რუკები, დიაგრამები. ისინი საუბრების გარდა ყოველთვის კითხულობენ რომელიმე წიგნის ნაწყვეტს.

საბჭოთა და უცხოეთის მოწინავე მწერლების ნაწარმოებებში აგიტატორები პოულობენ მრავალ ძვირფას მასალას საუბრისათვის. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი", პავლენკოს „აღმოსავლეთში", ტოლსტოის „პური", კრიმოვის „ტანკერი—დერბენტი" და არა ერთი სხვა წიგნი დაეხმარა ჩვენი უბნის მშრომელთ უკეთ გაეგოთ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სხვა ქვეყნების ამბები.

ბურჟუაზიულ საარჩევნო სისტემაზე უფრო ნათელი წარმოდგენის მისაცემად ზოგიერთი აგიტატორი მსმენელთ უკითხავს წიგნების ნაწყვეტებს და ცალკეულ მოთხრობებს საზღვარგარეთ არჩევნების შესახებ. ამ თემაზე წასაკითხი მასალა მოიპოვება მთელ რიგ წიგნებში. მაგალითად, ილფსა და პეტროვს „ერთსართულიან ამერიკაში" (თავი „საშინელი ქალაქი ჩიკაგო") მოჰყავთ ჩიკაგოელი ექიმის საინტერესო მოთხრობა, თუ როგორ უწევდა მას „აგიტაციას" რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი აგენტი არჩევნების წინ, ხმა მიეცა რესპუბლიკელთა კანდიდატისათვის. „თუ თქვენ ხმას მისცემთ ჩვენს მოწინააღმდეგეს, — განუცხადა რესპუბლიკელმა ექიმს, — თქვენი ქალიშვილი ვერასოდეს ვერ მიიღებს სამუშაოს". მარკ ტვენი მოთხრობაში „როგორ მირჩევდნენ გუბერნატორად"—დასცინის ბურჟუაზიული მოსყიდული პრესის ზნე-ჩვეულებას, პრესისას, რომელიც წინასაარჩევნო ბრძოლაში არაფერს თაკილობს, ოღონდ კი სახელი გაუტეხოს სხვა კანდიდატს.

მსოფლიო ლიტერატურაში მოიპოვება აგრეთვე სხვა ნაწარმოებები, რომლებიც ამხილებენ, სასაცილოდ იგდებენ ბურჟუაზიული არჩევნების მექანიკას. ასეთია, მაგალითად, დიკენსის „პიკვიკის კლუბის წერილები" (ტომი I, თავი მე-13), სინკლერის „ჯუნგლები" (თავი 25-ე), ჩაპეკის „ფაბულები ბავშვებისათვის".

საინტერესო ექსკურსია-მოგზაურობის დროს აგიტატორები განუმარტავენ ამომრჩეველთ, თუ რა ბევრი გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ ქალაქების კეთილმოწყობისათვის. მეგობრული ურთიერთობა მტკიცდება მუზეუმებში, კინოთეატრებში ყოფნის დროს ამომრჩევლებსა და აგიტატორებს შორის. ყველგან—ექსკურსიას აწყობენ, კინოფილმს ნახულობენ, თუ თვალსაჩინო ლიტერატურულ ნაწარმოებს კითხულობენ, ჩვენი აგიტატორები უნარიანად, დამაჯერებლად ეხმარებიან ამომრჩევლებს შეადარონ ახლანდელი ცხოვრება ძველ დროს.

ჩვენს საარჩევნო უბანში 10 თებერვალს ხმას მისცემს 289 ახალგაზრდა ამომრჩეველი. მათ ბევრი რამ აინტერესებთ. ამიტომ სააგიტაციო მუშაობის ფორმები უნდა იყოს განსაკუთრებით მრავალფეროვანი, ღრმა შინაარსიანი, დამაჯერებელი.

ახალგაზრდობასთან სამუშაოდ გამოვყავით ყველაზე კვალიფიციური აგიტატორები. მათ შორის მსმენელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს ნადია ნოვიჩკოვამ და მარუსია პანფილოვამ. ისინი საუბრებთან ერთად ახალგაზრდობის სპეციალური საღამოების ინიციატორები არიან. 13 იანვარს გაიმართა პირველი საღამო, რომელზეც წაკითხულ იქნა მოხსენება დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ მოსკოვის ცენტრალური სალექციო ბიუროდან მოწვეულმა ლექტორმა წაიკითხა ლექცია. საღამო დამთავრდა კონცერტით.

ეწყობა ახალგაზრდა მომუშავეთა შეხვედრა დემობილიზებულ მეომრებთან. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების წარმომადგენლებთან შეხვედრებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს ჰორიზონტი ჩვენს ახალგაზრდობას.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ასეთმა მუშაობამ ახალგაზრდობას შორის უფრო გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება შრომის ფრონტზე.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ამომრჩევლები. მათთან შეხვედრა ხშირად ხდება სადღესასწაულო ვითარებაში. იმართება კონცერტები, საცეკვაო საღამოები, სადაც დიდი წარმატებით გამოდიან ჩვენი საწარმოო რაიონების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. სააგიტაციო პუნქტი ადგენს საინტერესო პროგრამას, გამოდიან მომღერლები, მოცეკვავეები, პიანისტები, დეკლამატორები, იდგმება კომიკური სკეტჩები.

აგიტპუნქტთან შექმნილია მოძრავი ბიბლიოთეკა, სადაც ამომრჩევლებს შეუძლიათ ნახონ პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოის წიგნები და მხატვრული ლიტერატურის სხვა კორიფეების ნაწარმოებები. გამოდის კედლის გაზეთი „ამომრჩეველი", რომელშიც სწერენ ჩვენი უბნის მშრომელნი.

სააგიტაციო-მასობრივმა მუშაობამ სტალინის ოლქის № 18 საარჩევნო უბანში ხელი შეუწყო ახალი აქტივისტების პოლიტიკურ ზრდას. საკმაოდ ბევრი ჩინებული აქტივისტი გამოვიდა დიასახლისთა წრიდან.

**ვ. გალინოვსკი**

აგიტპუნქტის გამგე

## საპატიო მოვალეობა

აგიტატორს დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული. მას საქმე აქვს ადამიანის სულთან, მის გრძნობებთან და განწყობილებასთან. აგიტატორმა რომ სასურველ მიზანს მიაღწიოს, მას დიდი მუშაობა სჭირდება. სამაგიეროდ, როცა მიზანი მიღწეულია, ეს მას დიდ კმაყოფილებას ანიჭებს.

გამოცდილებით ვიცი, რომ ყურადღება მსმენელებისადმი საპასუხო ყურადღებასა და ნდობას იწვევს; დიასახლისები კმაყოფილი არიან, რომ მათთან სპეციალურად მიდის აგიტატორი. ამაში ისინი მზრუნველობას ხედავენ.

მე ცოცხალ, მხატვრულ საუბარს ვამჯობინებ ვრცელ მოხსენებას, თავიდანვე ვიწყებ მეგობრულ საუბარს. ვუპასუხებ შეკითხვებზე, თვითონ ვაძლევ კითხვებს.

მე გამოვავლინე და მუშაობაში ჩავაბი აქტიური ქალები. დიასახლისები ელისაბედ ლევინა, ანა ზოტოვა, კლავდია საბიტოვა და სხვები სიამოვნებით მეხმარებიან. ამომრჩეველთა აქტივს გარდა შევქმენი მოზარდთა აქტივი. ჩემი ნორჩი თანაშემწეები არაჩვეულებრივი ერთგულობით მეხმარებოდნენ წითელი კუთხის გაფორმებაში. ამჟამად მათ გააჩაღეს წინასაარჩევნო შეჯიბრება მათთვის მოწყობილ საჭადრაკო და ციგურა-ბურთის წრეებში.

ნაყოფიერი მუშაობით აგიტატორი ეხმარება ბოლშევიკურ პარტიას უმაღლესი საბჭოს არჩევნების წარმატებით ჩატარებაში.

**ი. პ. ბაჟანოვი**

აგიტატორი

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

## სერგი გიორგის-ძე ტროფიმენკო



ხალხის, დიდი ბოლშევიკური პარტიის ერთგულმა შვილმა სერგი გიორგის-ძე ტროფიმენკომ ცხოვრების დიდი გზა განვლო მეტყვიამფრქვევე წითელი არმიელიდან გენერლამდე, ოლქის ჯარების სარდლამდე.

ს. გ. ტროფიმენკო დაიბადა 1899 წლის 5 ოქტომბერს სადგურ ბრიანსკის რკინიგზელთა დაბაში. ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 14 წლის ბავშმა დაიწყო მუშაობა სადგურ ბრიანსკის დეპოში.

1918 წელს ს. გ. ტროფიმენკო ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. 1919 წლის ოქტომბერში იგი კომკავშირული ორგანიზაციის ძირითად ბირთვთან ერთად მოხალისედ მიდის ფრონტზე წითელი არმიის რიგებში, დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ იგი არმიაში რჩება მეტყვიამფრქვევეთა გუნდის უფროსად. შემდეგ პოლკის კომისარია, ბოლოს—ბატალიონის უფროსი.

1932 წელს ს. გ. ტროფიმენკომ დაამთავრა ფრუნზეს სახელობის აკადემია და მუშაობს დივიზიის შტაბის უფროსად, ხოლო შემდეგ ოლქში, 1936 წელს კვლავ სწავლობს გენერალური შტაბის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობს კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ოპერატიული განყოფილების უფროსად, შემდეგ კი ერთ-ერთი არმიის შტაბის უფროსად.

1940 წლის დამდეგს ამხ. ტროფიმენკო, როგორც მე-7 არმიის შტაბის უფროსის მოადგილე, მონაწილეობას იღებს თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლაში. წარმატებითი ბრძოლებისათვის მთავრობამ იგი **ლენინის** ორდენით დააჯილდოვა.

დიდმა სამამულო ომმა ს. გ. ტროფიმენკოს მოუსწრო შუა აზიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პოსტზე. აქ იგი დიდ მუშაობას ეწევა მოქმედი არმიისათვის საბრძოლო რეზერვების გაწვრთნისა და მომზადების საქმეში.

1943 წლის აპრილში გენერალ ტროფიმენკოს არმია გადადის ორიოლ-კურსკის შვერილის რაიონში, სადაც ზაფხულში ფრონტის სხვა ჯარებთან ერთად შეტევაზე გადადის. მედგარ ბრძოლებში გენერალ ტროფიმენკოს ჯარებმა მთლიანად მოსპეს გერმანელთა მე-19 სატანკო დივიზია, აიღეს ახტირკა, კვალდაკვალ დაედევნენ მტერს და მიადგნენ დნეპრს.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებთან ერთად გენერალ ტროფიმენკოს ჯარებმა რკალში მოამწყვდიეს გერმანელთა დიდი დაჯგუფება კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში.

ამ მეტად პასუხსაგები ოპერაციის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის გენერალ-ლეიტენანტი ს. გ. ტროფიმენკო დაჯილდოებულ იქნა ბოგდან ხმელნიცკის პირველი ხარისხის ორდენით და ამერიკული საკომანდო ორდენით.

კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაციის შემდეგ გენერალ ტროფიმენკოს ჯარები შეტევაზე გადავიდნენ უმანის რაიონში, გადალახეს იუჟნი ბუგი, დნესტრი და 26 მარტს წითელი არმიის პირველ შენაერთებთან ერთად გავიდნენ სახელმწიფო საზღვარზე — მდინარე პრუტზე. გენერალ ტროფიმენკოს ჯარები განაგრძობდნენ შეტევას მტრის ტერიტორიაზე, გავიდნენ ქალაქ იასის რაიონში და ერთი კვირის განმავლობაში თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ კონტრშეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის სატანკო დივიზიებთან. 20 აგვისტოს წითელი არმიის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, ხოლო ათი დღის შემდეგ გენერალ ტროფიმენკოს არმიამ აიღო რუმინეთის ნავთის მრეწველობის ცენტრი—ქალაქი პლოეშტი.

იასის ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის, მაღალი მხედრული ოსტატობისა და პირადი გმირობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სერგი გიორგის-ძე ტროფიმენკოს მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

პლოეშტის აღების შემდეგ არმია, რომელსაც მეთაურობს მაშინ უკვე გენერალ-პოლკოვნიკი ტროფიმენკო, აწარმოებს ბრძოლებს ტრანსილვანიაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კვლავ უნგრეთში, ბალატონის ტბის რაიონში.

გენერალ-პოლკოვნიკმა ტროფიმენკომ ომი დაიწყო მშობლიური საბჭოთა ქალაქებისათვის ბრძოლით, ხოლო დაამთავრა იგი შორს ევროპაში, როგორც მამაცმა მებრძოლმა და სტალინური სკოლის სახელგანთქმულმა მხედართუფროსმა. გენერალ ტროფიმენკოს ჯარების საბრძოლო წარმატება 19-ჯერ აღინიშნა დიდი **სტალინის** ბრძანებებში.

საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ სერგი გიორგის-ძე ტროფიმენკოს საგმირო საქმეები აღნიშნულია **ლენინის** სამი ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით, სუვოროვის პირველი ხარისხის ორი ორდენით, კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენით, ბოგდან ხმელნიცკის პირველი ხარისხის ორდენით, მედლებით „მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წელი“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „ბუდაპეშტის აღებისათვის“ და „ვენის აღებისათვის“.

## პეტრე ათანასეს-ძე შარია



ამხ. პ. ა. შარია დაიბადა 1902 წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონის სოფელ თაგელონში. 1920 წელს იგი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა გალის მაზრაში კომკავშირის ჩამოყალიბების საქმეში.

1924 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. შარია სწავლისათვის მიავლინა მოსკოვში, კრუპსკაიას სახელობის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში. მან გაიარა სამეცნიერო მომზადება ჯერ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების რუსეთის ასოციაციასთან არსებულ ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, ხოლო შემდეგ კომუნისტურ აკადემიასთან არსებულ ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც 1929 წელს დაამთავრა. ამხ. შარია ეწევა პედაგოგიურ მუშაობას მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში და პროპაგანდისტულ მუშაობას მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში. ამხ. შარია იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიისა და დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრას. 1934 წლის მარტიდან ამხ. შარია მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს წევრად და პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. 1937-1938 წლებში ამხ. შარია მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სკოლებისა და მეცნიერების განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. შემდეგ იგი მუშაობს მოსკოვში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე სსრ კავშირის შინსახკომში.

ამხ. პ. ა. შარია ამჟამად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანია პროპაგანდის დარგში, აგრეთვე ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული **მარქს-ენგელს-ლენინის** ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს და რედაქტორობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — ჟურნალ „ბოლშევიკს“.

ამხ. პ. ა. შარია არის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მას ეკუთვნის მთელი რიგი შრომები მარქსიზმ-ლენინიზმისა და ფილოსოფიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

ამხ. პ. ა. შარია დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით, წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“. იგი სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ამხ. პ. ა. შარია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია.

## ვაგან გრიგოლის-ძე გრიგორიანი



ამხ. ვ. გ. გრიგორიანი დაიბადა 1902 წელს ქალაქ ბაქოში.

18 წლისა მოხალისედ შევიდა წითელი არმიის რიგებში და იმყოფებოდა იქ 1923 წლამდე.

ბოლშევიკების პარტიაში მიიღეს 1920 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში ამხ. ვ. გრიგორიანი თბილისში იმყოფება. იგი არის კავკასიის XI არმიის პოლიტგანყოფილების მუშაკი. შემდეგ მას გზავნიან სომხეთში, სადაც 1921 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებს დაშნაკების აჯანყების ჩაქრობაში.

დემობილიზაციის შემდეგ მუშაობს აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგედ და იმავე დროს სწავლობს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტებზე. მოსკოვში პარტიულ სამუშაოზეა—მუშაობს ყოფილ ხამოვნიკის პარტრაიკომის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ არის საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგის მოადგილე.

1927 წლიდან ამხ. ვ. გ. გრიგორიანი იმყოფება თბილისში საგაზეთო სამუშაოზე—მუშაობს მთელი რიგი გაზეთების პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ და რედაქტორად. იგი რედაქტორობს გაზეთებს „რაბოჩაია პრავდას“, „ტიფლისკი რაბოჩის“, „ვეჩერნი ტბილისს“, „ნა რუბეჟე ვოსტოკას“, „პროლეტარს“ (სომხურ ენაზე). 1933 წლის თებერვლიდან დღემდე მუშაობს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პასუხისმგებელ რედაქტორად.

ამხ. ვ. გ. გრიგორიანი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი და სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გაზეთში სანიმუშო მუშაობისათვის 1937 წელს ამხ. ვ. გრიგორიანი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო ომის დღეებში — **ლენინის** ორდენით. დაჯილდოებულია აგრეთვე „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

## გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე



გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე საქართველოს სს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია.

ამხ. გ. თ. კარანაძე დაიბადა 1902 წელს აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში, გლეხის ოჯახში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1925 წლამდე ამხ. კარანაძე კომკავშირულ სამუშაოზე იყო. 1925 წელს იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. ამხ. კარანაძე მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ პარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორად.

1929-დან 1931 წლამდე ამხ. კარანაძე პასუხსაგებ სამუშაოზეა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებში, ხოლო შემდეგ კვლავ პარტიულ სამუშაოზე: საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანისა და ყარაიის რაიკომების მდივნად, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომისა და სტალინის რაიკომის მდივნად, შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივნად.

1931-დან 1934 წლამდე იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი. 1934 წელს ამხ. კარანაძე არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად და საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად. 1938 წელს ამხ. კარანაძეს ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ყირიმის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად და 1942 წელს პარტიის დაღისტნის საოლქო კომიტეტის წევრად.

1938 წლის დამლევიდან 1940 წლამდე ამხ. კარანაძე მუშაობს ყირიმის ასს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო 1942 წლიდან 1943 წლის მაისამდე დაღისტნის ასს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

1934 წელს ამხ. კარანაძე არჩეულ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. იგი არის სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ამხ. გ. თ. კარანაძე დაჯილდოებულია წითელი დროშის სამი ორდენით, კუტუზოვის მე-2 ხარისხის ორდენით, სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით, პირველი ხარისხის მედლით—„სამამულო ომის პარტიზანს“ და აგრეთვე მედლებით „სევასტოპოლის დაცვისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“, ბრიტანეთის კომანდორის ორდენით და „შინსახკომის დამსახურებული მუშაკის“ ნიშნით.

# ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

### აჭარა

მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსოვანთა პავილიონის დარბაზში 22 იანვარს შეიკრიბნენ კაგანოვიჩისა და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობათა წევრები, რკინიგზის სადგურის, ბოტანიკური ბაღის, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები, ჩაის ტექნიკუმის მსმენელები და მასწავლებლები, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება გახსნა მწვანე კონცხის საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ა. ჭირაქაძემ. მან ილაპარაკა ჩვენი ხალხის უდიდეს საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით, მის შემჭიდროებაზე ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო.

— თავიანთ ერთსულოვნობას,—სთქვა ამხ. ჭირაქაძემ,—ამომრჩევლები ცხადჰყოფენ საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს—10 თებერვალს, როცა საარჩევნო ყუთებთან მივლენ და ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ავირჩევთ რა უმაღლეს საბჭოში სამშობლოს ღირსეულ შვილებს, ამით ჩვენ ხმას მივცემთ ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მთელი საბჭოთა ხალხის პირველ კანდიდატს დიდ **სტალინს!**

ორატორის სიტყვებს მქუხარე ტაში ჰფარავს.

სიტყვით გამოდის მახინჯაურის საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილი პირი, მასწავლებელი ამხ. ლ. შენგელია. იგი აცხადებს, რომ უბნის ამომრჩევლები კარგად უნდა იცნობდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს—ამხანაგებს კირილე გიორგის-ძე ბეჟვაიას, ისმაილ ხასანის-ძე ფუტკარაძეს და აიშე იუსუფის-ასულ გურგენიძეს. შემდეგ ამხ. შენგელია დამსწრეთ მოუთხრობს დეპუტატობის კანდიდატთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ და ამომრჩევლებს მოუწოდებს ერთსულოვნად მისცენ მათ ხმა მომავალ არჩევნებში.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რკინიგზის მუშა ამხ. ა. პანასენკო, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა.მხეიძე და ლეიტენანტი ნ. სავენკოვი.

დასასრულ სიტყვები წარმოსთქვეს დეპუტატობის კანდიდატებმა.

ტრიბუნაზეა ამხ. ა. ი. გურგენიძე, რომელიც ამომრჩევლებს მადლობას უძღვნის ნდობის გამოცხადებისათვის და პირობას იძლევა, რომ ამ ნდობას გაამართლებს, ერთგულად ემსახურება ხალხს, გამარჯვებულ სამშობლოს.

სიტყვას იღებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. კ. გ. ბეჟვაია. იგი ლაპარაკობს ჩვენი სამშობლოს დიად ისტორიულ გამარჯვებებზე, რაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით არის მოპოვებული.

დასასრულ ამხ. ბეჟვაიამ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომლებმაც იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს და პირობა მისცა მათ, რომ ნდობას გაამართლებს.

### სამხრეთ ოსეთი

ჯავის რაიონის სოფელ ხვცეს საარჩევნო უბანში შესდგა ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ ამხ. ფ. სანაკოევასთან.

შეხვედრა გახსნა ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ვ. ხარებოვმა. სიტყვებით გამოვიდნენ ნდობით აღჭურვილი პირი დ. ხაბალოვი, საქართველოს კ. პ. (ბ) ჯავის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ცხოვრებოვი. მათ ილაპარაკეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ამხ. სანაკოევას ცხოვრებაზე, დაახასიათეს მისი მუშაობა, მოუწოდეს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

დეპუტატობის კანდიდატმა ფ. სანაკოევამ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და სიტყვა მისცა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა გაამართლოს ეს ნდობა.

### ზესტაფონი

ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში შესდგა ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ რაფიელ ილიას-ძე აგლაძესთან.

ამომრჩეველთა შეკრება გახსნა ნდობით აღჭურვილმა პირმა ქარხნის დირექტორმა ამხ. ი. კეკელიძემ.

დნობის ძველმა ოსტატმა შალვა ლორიამ ილაპარაკა იმ დამსახურებაზე, რაც ამხ. აგლაძეს მიუძღვის მეტალურგიის დარგში.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი,—სთქვა მან,—კარგად იცნობს ახალგაზრდა მეცნიერს ამხ. რაფიელ ილიას-ძე აგლაძეს. მისი თავდადებული შრომის მეოხებით ქარხანამ ომის დღეებში შესძლო სამშობლოსათვის მიეცა ტონობით ახალი ძვირფასი ლითონი, დააჩქარა ჩვენი წითელი არმიის გამარჯვება. ამიტომ ჩვენ ერთსულოვნად მივცემთ ხმას სამშობლოს ერთგულ შვილს რაფიელ აგლაძეს.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ინჟინერი ტიმოშენკო, ახალგაზრდა ამომრჩეველი ეჯიბაძე, სტახანოველი დანელია, დიასახლისი ცურსკოვა.

დასასრულ გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი ამხ. რაფიელ აგლაძე, რომელმაც მშობლიური ქარხნის კოლექტივს მხურვალე მადლობა გადაუხადა დიდი ნდობის გამოცხადებისათვის.

—არაფერს არ დავზოგავ, რათა ვემსახურო სამშობლოს, ჩვენს ხალხს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს,—ასე დაასრულა თავისი სიტყვა ამხ. აგლაძემ.

# ჯუზეპე ვერდი

(გარდაცვალების 45 წლისთავის გამო)

საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი ოსტატის ჯუზეპე ვერდის მოღვაწეობა მთელი ისტორიული ხანაა იტალიური საოპერო მუსიკის განვითარებაში. ვერდის მოღვაწეობა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა, იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეტად მღელვარე ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

...

„ბალ-მასკარადი". ახალი ძალითა და ექსპრესიით ახატება მათში ვერდის შემოქმედების ჰუმანიური იდეა. ყველა ეს ოპერა ტანჯული ადამიანების სიყვარულითა და დესპოტიზმის სიძულვილით არის გამსჭვალული. სოციალური თემატიკა აქ პირველ ადგილს უთმობს ფსიქოლოგიურს...

...

მოებთა სიუჟეტების თვით შერჩევა. „ლომბარდიელები", „ჟანნა დ'არკი", „ერნანი", „ატილა" გრანდიოზული მუსიკალური პლაკატებია, რევოლუციური სულითა და პროტესტანული მრისხანებით გამსჭვალულნი. ამ ოპერების მთავარი მოქმედი პირია ხალხი. ამიტომაც მასობრივ-გუნდური სცენები განსაზღვრავენ მათს ღირსებასა და მნიშვნელობას.

50-იანი წლები ახალი პერიოდის დასაწყისია არა მარტო ვერდის, არამედ მთელი იტალიური საოპერო მუსიკის განვითარებაში. ამ პერიოდის სახელგანთქმული ოპერებია: „რიგოლეტო", „ტრუბადური", „ტრავიატა",

...

მაგრამ როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, იგი ნაციონალურში პოულობდა უნივერსალურს. ყველა თავის ოპერაში ვერდი იტალიურ ენაზე მეტყველებდა, მაგრამ ამ ენაზე იგი გადმოგვცემდა ზოგადკაცობრიულ იდეებსა და გრძნობებს. ამიტომ სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია საბჭოთა მუსიკალური თეატრის დიდი ინტერესი ვერდის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი. ვერდის შემოქმედება საერთაშორისო კულტურის საგანძურში შევიდა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხთა საკუთრება გახდა.

ლ. დონაძე

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

## ეკონომიური და სოციალური საბჭოს პირველი სხდომა

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). გუშინ საღამოს შესდგა ეკონომიური და სოციალური საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ინდოეთის დელეგატი რამასვამი მუდალიარი, პირველ ვიცე-თავმჯდომარედ—იუგოსლავიის დელეგატი დოქტორი...

...

ფედერაციამ ასამბლეას მიმართა თხოვნით—მიეცეს უფლება წარმომდგენელ იქნას საბჭოში, გამოედეს და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. დე ესემ სთქვა, რომ, მისი აზრით, არ შეიძლება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მიეცეს ხმის უფლება; მაგრამ ბელგიის დელეგაცია ფიქრობს, რომ სასარგებლო იქნებოდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგატები დაეშვათ საბჭოს ზოგიერთ სხდომაზე...

...

საბჭომ ერთსულოვნად მიიღო მოსამზადებელი კომისიის მიერ რეკომენდებული დღის წესრიგი.

## გენერალური ასამბლეის 24 იანვრის პლენარული სხდომა

ლონდონი, 24 იანვარი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ამხ. ა. ი. ვიშინსკის პირველად გამოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც დელეგატთა შორის, ისე საზოგადოებაში. სენტრალ-ჰოლის მახლობელი ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი და, როდესაც ა. ი. ვიშინსკი თავისი ავტომობილიდან გადმოვიდა, მას მქუხარე ტაში შეხვდნენ. ჰოლლიდის ასეთივე ატმოსფერო სუფევდა ასამბლეის სხდომის დარბაზშიც, სადაც ადგილები საზოგადოებისა და პრესისათვის გაჭედილი იყო.

პოლონეთის დელეგაციის მხადყოფნა მხარი დაუჭიროს წარმოდგენილ რეზოლუციას. პოლონეთის დელეგაციის სახელით მოძელევსკიმ წინადადება შეიტანა, რომ გენერალურმა ასამბლეამ ურჩიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს მიიღონ კანონები, რომელთა ძალით, ჯერ-ერთი, ატომური ბომბის აღმოჩენის ანალოგიური ყველა მოვლენა და აღმოჩენა უნდა ეცნობოს სხვა ქვეყნებს. მეორე, სამეცნიერო დარგში მიღებული შედეგები გამოყენებულ უნდა იქნას მშვიდობიანი მიზნებისათვის და არა ნგრევის მიზნებისათვის; მესამე, ყველა ქვეყანამ მხარი უნდა დაუჭიროს გაერთიანებული ერების ორ...

...

მოწონებულ იქნა 47 დელეგატის ერთსულოვანი ხმის მიცემით.

შემდეგ ასამბლეამ განიხილა № 5 კომიტეტის (ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხებზე) მოხსენება იმ პირობების შესახებ, რომლებიც გენერალური მდივნის დანიშვნას ეხება. მოხსენება მიღებულ იქნა ერთხმად.

## ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

ლონდონი, 24 იანვარი. (საკდესი). თავის გამოსვლაში გენერალური ასამბლეის 24 იანვრის პლენარულ სხდომაზე ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა:

„ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო დელეგატებო!

საჭიროდ არ მიმაჩნია ვრცლად ვილაპარაკო იმ რეზოლუციის მნიშვნელობაზე, რომელიც წარმოდგენილია გენერალური ასამბლეის ამ...

...

რეზოლუციის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია გენერალური ასამბლეის მოსაწონებლად და რომელიც მოწონებულია საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციის მიერ, გულდასმითი და ყოველმხრივი განხილვისა და შესწავლის შედეგია. გადაწყვეტილების პირველადი ძიებანი სხვადასხვა გზით მიემართებოდნენ, მაგრამ საერთო ღონისძიებათა შედეგად ნაპოვნია ამ საკითხის ბედნიერი გადაწყვეტილება, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საგარეო საქმეთა სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის რეკომენდაციით. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ რეზოლუციის პროექტი სავსებით შეეფერება გაერთიანებული ერების ინტერესებს.

...

ამრიგად, რეზოლუციაში დასახული ღონისძიებანი გამოხატავენ იმ საკითხის გადაწყვეტისადმი სწორ და რეალისტურ მიდგომას, რომელიც ეხება ატომის ენერგიისადმი კონტროლის ღონისძიებათა განხორციელებას. საბჭოთა დელეგაცია კვლავ აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს ამ რეზოლუციას და იმედს გამოსთქვამს, რომ იგი ერთხმად იქნება მიღებული გენერალური ასამბლეის ამ პლენარული სხდომის მიერ.

...

## ამხ. ა. ი. ვიშინსკის წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი

ლონდონი, 25 იანვარი (საკდესი). პრესის წარმომადგენლებს ეცნობათ ტექსტი 24 იანვრის წერილისა, რომლითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. ი. ვიშინსკიმ მიმართა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს. წერილში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის დელეგატი, საბჭოთა...

...

როგორც ირანის სუვერენიტეტის დარღვევა და იმ მოვლენათა მიზეზი, რომლებიც ირანის აზერბაიჯანში ხდება. ამავე დროს კი, საბჭოთა ჯარების ირანის ტერიტორიაზე ყოფნა სრულიად კანონზომიერია, რამდენადაც ეს უფლება საბჭოთა მთავრობას მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულებით და საბჭოთა კავშირ-ინგლის-ირანის 1942 წლის ხელშეკ...

...

4. საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია ამასთან ერთად ყურადღება არ მიაქციოს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ დროს ირანში ძლიერდება საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროპაგანდა ირანის მთავრობის მხრივ აშკარა წაყრუებით. ეს პროპაგანდა არაფრით არ განსხვავდება ფაშისტური პროპაგანდისაგან, რასაც თავის დროზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეწეოდნენ რიზა-შაჰის დროს

...

მოსთქვამს აზრს იმის წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს ირანის დელეგაციის აღნიშნული მიმართვა".

## ეამის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა გენერალური ასამბლეისადმი

ათენი, 24 იანვარი. (საკდესი). 23 იანვრის საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (ეამის) ცენტრალურმა კომიტეტმა გენერალური ასამბლეის პრეზიდიუმს და უშიშროების საბჭოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ ბერძენი ხალხი, რომელმაც ყველაფერი მოახმარა გაერთიანებული ერების ბრძოლას, ანტიდემოკრატიული რეჟიმის პირობებში ცხოვრობს...

...

## თეირანის პრესა გენერალური ასამბლეის სესიაზე ტაგი-ზადეს გამოსვლის შესახებ

თეირანი, 20 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „შაჰბაზმა" 18 იანვარს ირანის აზერბაიჯანის შესახებ დაბეჭდა სტატია, რომელშიც სწერს, რომ ხალხის ჰოთხოვნათა დაკმაყოფილების ნაცვლად ირანის მთავრობის წრეები ცდილობენ ეს წმინდა საშინაო საკითხი კადაქციონ საერთაშორისო ხასიათის საკითხად. გაზეთის აზრით, ირანის მთავრობის წრეების ეს მისწრაფება თანხმობაშია უცხოეთის იმ ზოგიერთი წრეების სურვილს, რომლებიც აგრეთვე ცდილობენ ხმაური ატეხონ ირანის აზერბაიჯანის გარშემო, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ ინდონეზიისა, ინდოეთისა, ინდო-ჩინეთისა და ეგვიპტის ამბებს.

თეირანი, 22 იანვარი. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა, რომ ირანის დელეგაციის მეთაურმა ტაგი-ზადემ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს გადასცა წერილი, რომელიც შეიცავს საბჭოთა კავშირის მიმართ ბრალდებას ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ფოროუგი" სწერს, რომ ტაგი-ზადეს მოქმედებამ ირანში აქვე უფრო მწვავე კრიზისული ვითარება შექმნა. გაზეთი ჰაკიმის მთავრობის მოქმედებას პროვოკაციულად და სსრ კავშირისადმი ღიად მტრულად სთვლის. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს მოქმედება წამოწყებულია უცხოეთის წრეების ზეგავლენით, და მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერებისადმი ტაგი-ზადეს მიმართვა უკანვე წამოღებულ იქნას.

## ლიბანის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ლონდონი, 25 იანვარი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, ლიბანის...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ლევანტის შესახებ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების...

...

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

# ბანდიტებს — დახვრეტა

ეს ნაძირალები მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს ძარცვავდნენ ქუჩაში და ბინაზე და ნაძარცვში აღებული ფულით ქეიფობასა და გარყვნილებას ეწეოდნენ.

გიორგი ფილოს-ძე აგაშენაშვილმა კარგა ხანია ხელი მიჰყო დანაშაულებრივ საქმიანობას. გასულ წელს იგი დაუკავშირდა სის...

...

დაშვილი და კანთელაძე შეიპყრეს; იქვე დააპატიმრეს თვით რაზმაძე და ყუფუნიაც; მალე შეიპყრეს ბანდის სხვა მონაწილენიც, სულ 9 კაცი.

ბანდიტების საქმეს რამდენიმე დღის განმავლობაში იხილავდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის...

...

დახსმა მოახდინა.

ბანდის აქტიური წევრი იყო ანასტასია რაზმაძე. მისი მონაწილეობის გარეშე ბანდა იშვიათად ატარებდა თავდასხმებს. რაზმაძის საცხოვრებელი ბინა მძარცველთა მუდმივ თავშესაფარსა და ნაძარცვის შესანახ ადგილს წარმოადგენდა. აქ ხდებოდა გაძარცვის თუ ქურდობის გეგმის შედგენა, თავდასხმის მომზადება. რაზმაძე და ს. ყუფუნია ნაძარცვისა და ნაქურდალის რეალიზაციასაც ეწეოდნენ...

მილიციის ორგანოებმა ბანდიტების კვალს მიაგნეს: რაზმაძის ბინაზე აგაშენაშვილი, ბა-

...დახვრეტა.

ზუმბულიძეს, კანთელაძესა და ბადაშვილს მიესაჯათ ათ-ათი წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ თვითეულს 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. ბანდის ხელშემწყობთ—ო. ი. ქაოსელსა და ს. ყუფუნიას სასამართლომ მიუსაჯა—პირველს ექვსი წლით, ხოლო მეორეს—5 წლით პატიმრობა, სასჯელის მოხდის შემდეგ ორორი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით.

რ. თალაკვაძე

# იშვიათი შემთხვევა

ჩხარის რაიონის სოფელ ლეანკვითის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, 60 წლის ასრაბიონ თომას-ძე ბოგვერაძეს ჰყავს იმერული ჯიშის დედაცხვარი. 8 წლის მანძილზე ამ ცხვარმა 72 კრავი მოიგო. იგი წელიწადში 9 კრავს იძლევა. ბატკნები მთლიანად შენარჩუნებულია. დედაცხვარი და მისი დარჩენილი ნამატი ჩვეულებრივზე მეტი წონისაა, ამასთან აქვს ნაზი და რბილი მატყლი 10-12 სანტიმეტრი სიგრძისა.

კოლმეურნე ბოგვერაძის გადმოცემით, მისი ცხვრის მოდგმა წესები ჩვეულებრივია, მხოლოდ კრავებს პირველ ხანებში დამატებით აძლევს ცოტაოდენ ძროხის რძეს. ამხ. ბოგვერაძე პირუტყვის მოყვარულია და კოლმეურნეობისაგან მიმაგრებულ საქონელს საუცხოოდ უვლის.

### კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: „სამრეწველო განვითარება და პოლიტიკური ცხოვრება რუსეთში მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში".

სემინარს უხელმძღვანელებს ქართულ ენაზე დოცენტი ხუციშვილი, რუსულ ენაზე დოცენტი ქადიეშვილი.

29 იანვარს, დღის 12 საათზე, სახელოსნო სასწავლებლების პოლიტმუშაკებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: მხატვრული ლიტერატურის გამოყენება ახალგაზრდობასთან აღმზრდელობით მუშაობაში.

სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. მჭედლიძე.

28 იანვარს, საღამოს 7 საათზე, კომკავშირული პოლიტწრეების პროპაგანდისტებისათვის საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში კონსულტაციას ჩაატარებს ამხ. კაკულია.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 27 იანვარს, დილის 10 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქუჩა № 41).

### ლექცია

29 იანვარს, საღამოს 8 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

### სემინარი

28 იანვარს, საღამოს 5 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში ორჯონიკიძე-ვაგზლისა-კალინინის რაიონის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა და პროპაგანდისტებისათვის ჩატარდება სემინარი თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. პავლენკო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ა. წ. 28 იანვარს იწყება 1946 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გამოცდები.

მოქალაქე ვახტანგ ნესტორის-ძე კიკალიშვილმა, მცხოვრებმა ყაზბეგის ქ. № 5, აღძრა საქმე მეუღლის შესახებ, № 14 მცხოვრებ მოქალაქე ვარია ელისბარის ასულ დიასამიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

### თეატრები

27 იანვარს: სახელმწიფო ოპერა—„დარეჯან ცბიერი" რუსთაველის სახელობის—„ოტელო". მარჯანიშვილის სახელობის—„...". გრიბოედოვის სახელობის—„...". მუსიკალური კომედიის—„არშინ მალ-ალან". სახკულტურის — „...". სომხური—„სომეხი ქალი".

მთავარ საავტომობილო სამმართველოს ესაჭიროება ბუღალტერი (კალორენი) კოლოფების წარმოებისათვის ხელსაწყო და მოწყობილობა, აგრეთვე ხელოსნები. პირობების გაგება შეიძლება კამოს ქ. № 76, ტელეფონი № 3217-70.

საქართველოს სსრ შინსახკომის ქალაქ თბილისის მილიციის მე-15 განყოფილების კოლექტივი იუწყება ნოშრევან ქიზიურაშვილის გარდაცვალებას გამოსვენება 29/I, 3 ს. მაიაკოვსკის შესახვევი, 4.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, ხტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00913